11/03/2021

დეკანოზი ალექსანდრე გალდავა: ბოროტებას თუ არ განეშორე, შენ აუცილებლად თანამონაწილე ხდები ბოროტებისა

ბოროტებას თუ არ განეშორე, შენ აუცილებლად თანამონაწილე ხდები ბოროტებისა, – ამის შესახებ დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ „იმედის ფაქტორში“ განაცხადა.

მისი თქმით, საზოგადოებამ კარგად უნდა ჩახედოს საკუთარ თავს, ორივე მხარემ და დავინახოთ ჩვენი შეცდომები.

„საზოგადოება, ეს არის ხალხი, რომელიც თავისი შინაგანი არსით განახლებადი უნდა იყოს, წარსულს არ უნდა მიუბრუნდეს და თუ სხვის შეცდომებზე არა, თავის შეცდომებზე მაინც უნდა ისწავლოს. ეს ძალა როგორც ერს და როგორც არა ბრბოს, უნდა ჰქონდეს და საზოგადოება ამისკენ არის მოწოდებული, ეკლესია კიდევ ამ ძალის მეტად მიმცემია. ჩვენ კარგად უნდა ჩავხედოთ საკუთარ თავს, ორივე მხარემ და დავინახოთ ჩვენი შეცდომები. დავინახოთ, რა გვიკეთებია საერთოდ და როგორ შეიძლება, რომ ეს ჩვენ თავში შევცვალოთ, თუ გვინდა შეცვლა საზოგადოების, საკუთარ თავში უნდა შევიცვალოთ. ჩვენთვის ძალიან ღირებულია, რომ ადამიანს ცხოვრების ის უმთავრესი

საზრისი, რისთვის არის გაჩენილი, გაუჩნდეს თავის თავში და განახლება სწორედ აქ იპოვოს. მარკუს ავრელიუსი ამბობს, თუ ადამინს რწმენა არ აქვს ღმერთების, მაშინ მან უნდა დაინახოს წესრიგი თავის თავში და მას უნდა დაეყრდნოს და თუ ღმერთის სწამს, ღვთაებრივ წესრიგს უნდა დაეყრდნო და მას უნდა დაემორჩილოს. ანუ, ერთ-ერთი წესრიგი უნდა აირჩიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასამ ორიენტირები სწორად უნდა განსაზღვროს და მან თეთრს თეთრი უნდა დაარქვას და შავს – შავი, უნდა განარჩიოს ბოროტი კეთილისგან. ბიბლია მთელი თავისი სისავსით, პირველივე თავებიდან იწყება ყველაფრის გაყოფით სიბნელისა სინათლისგან, ხმელეთი ზღვისგან, ადამიანი ცხოველისგან და ა.შ. ასეა, ბოროტებას თუა არ განეშორე, შენ აუცილებლად თანამონაწილე ხდები ბოროტებისა. გაგახსენებთ სახარების ერთ ადგილს, როდესაც მაცხოვარს სინოდრიონზე მის განსასჯელად, პეტრე ერთადერთი იყო, ვინც მას გაჰყვა, მაგრამ გარეთ ისხდა ის ხალხი, ვინც ეს ყველაფერი მოაწყო და პეტრე მათთან ერთად თბებოდა ცეცხლზე. შემდეგ იცით, რომ პეტრემ სამჯერ უარყო მაცხოვარი და მამლის ყივილმა გაახსენა ის სიტყვები, რომელიც უწინასწარმეტყველა მაცხოვარმა და მკაცრად შეინანა. საღვთისმეტყველო აზრი იმაშია, რომ შენ ქრისტეს მტერთან ნუ გათბები, ნუ გათბები მის ცეცხლზე, რომ მერე თანამონაწილე არ გახდე მისი უარყოფისა. ჩვენ გვჭირდება პეტრესავით მამალი, რომელიც შეჰყივლებს და გაგვახსენებს ჩვენს ცოდვებს და განახლებას და ახალ სიცოცხლეს შეგვძენს“, – განაცხადა დეკანოზმა ალექსანდრე გალდავამ.

— imedinews.ge